

F171
1987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

9

ს ბ ო რ ნ ი კ

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის გადაწყვეტილებები**

„გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის თაობაზე“ სკკპ
ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის პლენუმის
დადგენილებიდან გამომდინარე რესპუბლიკის სკოლაზე
დაწესებულებებში ახალგაზრდა პედაგოგობურ
კადრებთან მუშაობის შესახებ

27 მარტი 1987 წელი

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სკოლაში დაწესებუ-
ლებებში გარკვეული მუშაობა ტარდება სკკპ ცენტრალური კომიტე-
ტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების „გარდაქმნისა და
პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ სარეალიზაციოდ.

დღეისათვის რესპუბლიკის 2305 სკოლაში დაწესებულებაში,
სადაც 199528 ბავშვი ირიცხება, სწავლა-აღზრდის საქმეს 19222 სკო-
ლაში მუშაკი ემსახურება. მათგან 35,5% უმაღლესი განათლების
მქონეა, 49,9% — საშუალო სპეციალური. განათლების სამინისტრო
განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა სპეციალისტების
განაწილება-დასაქმების საკითხს. მარტო 1982—1986 წლებში ადგი-
ლებზე განაწილდა 500-ზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლე-
ბიც შრომით საქმიანობას გამოცდილი მუშაკების გვერდით ეწევიან და
სკოლაში აღზრდის დარგში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილე-
ბას ეუფლებიან. უკანასკნელ წლებში შემცირდა კადრების დენადობა.

შემოწმებულ რაიონებში ახალგაზრდა პედაგოგთა დაოსტატებისა-
თვის ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ღია მეცადინეობე-
ბი, „ღია კარის დღეები“, კონსულტაციები, სემინარები. ქ. თბილისის
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში შექმნილია „ახალგაზრ-
და აღზრდელთა ლაბორატორია“. 26 კომისრისა და საქარნო რაიო-
ნების სახალხო განათლების განყოფილებებთან—„ახალგაზრდა აღზრ-
დელთა კლუბები“, „ხელმძღვანელ მუშაკთა სკოლა“, ქარელის რაიონ-
ში — ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭო.

ქ. თბილისის, წითელწყაროს, ქარელის რაიონების სკოლაში დაწესებულებებში დანერგილია ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი
დაპრიგებლობის პრაქტიკა, ახალგაზრდა სპეციალისტთა ანგარიშგება

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საზ. რესპუბ.
განათლების მინისტრის



კოლექტივების წინაშე. გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლამდელ დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა რეზერვთან, გეგმიანად, დებულების შესაბამისად მიმდინარეობს სკოლამდელ მუშაკთა ატესტაცია.

აღნიშნულთან ერთად რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ახალგაზრდა პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის საქმეში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებს მთელი სირთულით არა აქვთ წარმოდგენილი სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი ფუნქცია და კვალიფიციური კადრების როლი სკოლისათვის ბავშვთა მომზადების საქმეში, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში გამგეობად და აღმზრდელებად ინიშნებიან ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირები. 1985 წელთან შედარებით მათი რაოდენობა რესპუბლიკაში 121 ერთეულით გაიზარდა. მათ შორის განათლების სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში 100 ერთეულით (აფხაზეთის ასსრ — 45, გეგეჭკორის რ-ში — 18, თერჯოლის რ-ში — 15, მესტიის რ-ში — 12, მახარაძის რ-ში — 9, ქ. ჭიათურაში — 8, წულუკიძის რ-ში — 7, წალკის რ-ში-7, ცაგერის რ-ში-6 და ა. შ.).

იმის გამო, რომ განათლების ორგანოების მიერ ადგილებზე არ ტარდება სისტემატური, გეგმაზომიერი და მიზანდასახული ღონისძიებები მომავალი კადრების მომზადებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობასთან არ მიმდინარეობს სათანადო პროფორიენტაციული მუშაობა, სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობას განიცდიან ქ. თბილისის 26 კომისრისა და საქარხნო, ზოგდიდის, ცაგერის, ზობის, გეგეჭკორის, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში, რის გამოც, გამონაკლისის წესით, ინიშნებიან არასპეციალისტი კადრები.

უხეში დარღვევები გამოვლინდა ყვარლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა სპეციალისტების აღრიცხვისა და შრომითი მოწყობის საქმეში. მაგალითად, ყვარლის რაიონში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დანიშნული 22 აღმზრდელიდან 7 არასპეციალისტია. მაშინ როდესაც დროებით უმუშევართა აღრიცხვაზე სკოლამდელი აღზრდის 14 სპეციალისტი ირიცხება.

უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტრო სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, წითელწყაროს რაიონებში, სადაც სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი სპეციალისტთა ჭარბ რაოდენობას ვერ აკმაყოფილებს, არ ანაწილებს ახალგაზრდა სპეციალისტებს, მაგრამ იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი კურსდამთავრებულებს განაწილების გარეშე ტოვებს და აძლევს დამოუკიდებლად შრომითი მოწყობის უფლებას. ისინი დროებით უმუშევართა აღრიცხვაზე დგებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; აღნიშნულმა განაპირობა სიღნაღის რაიონში 57 ახალგაზრდა სპეცია-



ლისტის დაუსაქმებლობა. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ბათუმის დაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეშიც.

ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილება-დასაქმების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნებისა, ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილება წლების დანძილზე არ ავხავს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე განაცხადებს სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების საჭიროების შესახებ (სამხრეთ ოსეთის ა/ო. საჩხერის, ვანის, თიანეთის, თეთრი წყაროს, მახარაძის, დმანისის, წალკისა და სხვა რაიონები).

ზოგიერთ შემთხვევაში სახალხო განათლების განყოფილებები უხეშად არღვევენ სკოლამდელი დაწესებულებების სამტატო ვანრივს. მაგალითისათვის: ყვარლისა და სიღნაღის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში არაა დაცული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის № 103 ბრძანებიდან გამომდინარე მოთხოვნები. სკოლამდელ დაწესებულებებში დანიშნულია 2 და მეტი შემცველი აღმზრდელი (ყვარლის რ-ნის სკოლამდელ დაწესებულებებში შემცველ აღმზრდელთაგან 9 — ზოგადი საშუალო, 4 — არასპეციალური საშუალო და 3 — არასპეციალური უმაღლესი განათლების მქონეა). აღნიშნული გარემოება უწესრიგობას ქმნის კადრების დანიშვნის საქმეში და თითოეული შემცველი მუშაის მუდმივ საშუაოზე გადაყვანა მწვავე კონფლიქტურ სიტუაციებთან არის დაკავშირებული.

გამოვლინდა სიღნაღის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სრული უპასუხისმგებლობა და თვითნებობა კადრების დანიშვნის საკითხებში: დარღვეულია აღრიცხვაზე აყვანილ პირთა დანიშვნის რიგი, რის შედეგადაც 1974—1975 წლებში აღრიცხვაზე აყვანილი სპეციალისტები დღემდე შემცველ აღმზრდელებად მუშაობენ, ხოლო დ. ყაჯიშვილი, ე. ობოლაშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, მ. სულხანიშვილი (წხოვის ბ/ბ, წნორის ს/ბ, სიღნაღის № 2 ბ/ბ) შემცველ აღმზრდელებად არიან დანიშნული ისე, რომ რაიონის განათლების განყოფილებაში აღრიცხვაზე არ იმყოფებიან. მაშინ როდესაც განათლების განყოფილებაში 57 დროებით უმუშევარი სპეციალისტი ირიცხება. მიმდინარე წლის 13 მარტს განათლების განყოფილების გამგემ ა. მ. ბეჟაშვილმა ერთ-ერთ კურსდამთავრებულზე პერსონალური მოთხოვნა გაუგზავნა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელს.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მთელ რიგ რეგიონებში (წითელწყაროს, ყვარლის, სიღნაღის რაიონებში) კვლავ არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის

დადგეხილება იმ ნაწილში, რომელიც საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური კადრების დანიშვნას ითვალისწინებს განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ წნორის მექანიკური ქარხნის სკოლამდელ დაწესებულებებში დანიშნული პედაგოგიური კადრების კანდიდატურები განათლების განყოფილებასთან არ შეთანხმებულა და ისინი არც აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილი.

განათლების სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში იმატა მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობამ ყვარლის რაიონიდან, რომელთა შემოწმებამ და ახალიზმა ცხადყო, რომ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევას. სკოლამდელი დაწესებულებების ზოგიერთი გამგე ვერ ახერხებს თანამშრომლებთან საჭირო კონტაქტების დამყარებას, სუბიექტური შეხედულებით წარმართავს მუშაობას, რაც ხელს უშლის კოლექტივში ჯანსაღი, ნორმალური კლიმატის შექმნას (ყვარლის № 1, სოფლების — ოქტომბრის, ჭიკაბანის, ახალსოფლის, შილდის № 2 ბ/ბალები — გამგეები: ზ. თევდორაშვილი, ნ. ნიორაძე, დ. მელექსიშვილი, თ. მირიანაშვილი). ახალგაიური მდგომარეობა აღინიშნება გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ბაგა-ბაღში (გამგე ს. ვარსევანიშვილი).

რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური საბჭოები არ მოქმედებენ, როგორც აღმზრდელთა მეთოდური დაოსტატების, მათი შემოქმედებითი აქტივობის განვითარების, ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ორგანო.

იმის გამო, რომ ადგილებზე მოისუსტებს მიზანდასახული, სისტემატური და შინაარსიანი მუშაობა ახალგაზრდა კადრებთან, აღმზრდელთა ერთი ნაწილი დაბალ დონეზე წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ვერ ფლობს პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების მეთოდოიკას, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და გონებრივ განვითარებას თამაშის საშუალებით, მათ თავისუფალ შემოქმედებას (აღმზრდელები: თ. არუთიანი, ლ. ჯანიაშვილი, თ. ლათიბაშვილი, ნ. ნატროშვილი, ნ. წიკლაური, მ. ზურაშვილი, მ. ვაფრინაშვილი — თბილისის № 160, № 45, სიღნაღის რაიონის დაბა წნორის, წითელწყაროს № 3, სოფელ არბოშვიკის, ყვარლის რაიონის სოფელ შილდისა და სოფელ კუჭატნის სკოლამდელი დაწესებულებები).

გამოვლინდა, რომ სიღნაღის, წითელწყაროს, ქარელის, ახმეტის და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები მთელი პრინციპულობითა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად არ წარმართავენ სკოლამდელ მუშაკთა ატესტაციას. აღმზრდელთა შრომის შე-



დასება ფორმალურ ხასიათს ატარებს, საატესტაციო დახასიათების
ზოგადი შინაარსისაა. არ ეძლევათ პრინციპული შეფასება დაკავებული
თანამდებობებისათვის შეუფერებელ მუშაკებს, რაც მომავალში განა-
პირობებდა ახალგაზრდა სპეციალისტების შრომით დასაქმებას. მაგა-
ლითისათვის: 1986 წელს ატესტაცია გაიარა 2853 სკოლამდელმა მუ-
შაკმა და მხოლოდ 2-ს მიეცა შეფასება „არ შეეფერება დაკავებულ
თანამდებობას“.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა პედა-
გოგიურ კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით კოლე-
გიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, სამ-
ხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო
განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამ-
მართველომ:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ მუშაობაში სკკპ ცენტრალუ-
რი კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით,
გაატარონ რადიკალური ზომები ამ გადაწყვეტილებათა სარეალიზა-
ციოდ მიღებული გეგმების პრაქტიკული განხორციელებისათვის. რის-
თვისაც ფართოდ გაშალონ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვა-
ნელი კადრების რეზერვთან მუშაობა.

— პედაგოგიური კადრების ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურე-
ბის შემთხვევაში იმოქმედონ დემოკრატიზაციის პრინციპებით, მეტი
ყურადღება შეაქციონ შრომითი კოლექტივების პარტიული და პროფ-
კავშირული ორგანიზაციების აზრს;

— კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე
სისტემატურად მოისმინონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა
ხელმძღვანელების თვითანგარიშები, დანერგონ ანალოგიური ანგარი-
შების მოსმენა და განხილვა მშობელთა საზოგადოების წინაშე;

— გააძლიერონ კონტროლი სკოლამდელ დაწესებულებებში პედა-
გოგიური საბჭოების ჩატარების პრაქტიკაზე; განსაკუთრებული ყუ-
რადღება დაუთმონ სკოლამდელ აღმზრდელთა შრომის შეფასების
ობიექტურობას, რათა საატესტაციო დახასიათებებში აისახოს კონ-
კრეტული რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის
შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

— ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჩარევით
მოიღწიონ საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების დანი-
შვნას განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით;

— სრულ წესრიგში მოიყვანონ პედაგოგიური კადრების აღრიცხვის
სისტემა, კატეგორიულად აიკრძალოს აღმზრდელებად და გამგებებად
ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირთა დანიშვნა.



1. 2. ჩატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინებია განათლების სამინისტროს 1988 წლის 1-ლი ივლისისათვის.

2. დაევალოს ყვარლის, სიღნაღისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, სადაც სკოლამდელ დაწესებულებებში მათთვის დამტკიცებულ ასიგნებათა გათვალისწინებლად დანიშნულია შემცველ აღმზრდელთა ჯარბი რაოდენობა, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის № 103 ბრძანების 8 ბ მუხლის მოთხოვნების შესაბამისობაში მოიყვანონ შემცველ აღმზრდელთა გამოყენების პრაქტიკა; გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1987 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან (ამხ. დ. თოდუა) ერთად დაამუშაოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1988 წლის 1-ლ კვარტალში წარმოუდგინოს რეკომენდაციები ახალგაზრდა და სარეზერვო კადრებთან მუშაობის საკითხებზე.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაკვეთით:

4. 1. ქ. თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობისა და ქ. ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებლებში კადრების მიზნობრივი მომზადების გაფართოების შესახებ.

4. 2. სკოლამდელი აღზრდის უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადებისათვის რუსულ სექტორზე მისაღები კონტინგენტის გაზრდის შესახებ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ყვარლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. გ. ზურაბიშვილი დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნულია მიმდინარე სასწავლო წელს და გადაწყვეტილებაში აღნიშნული უხეში დარღვევები წინა პერიოდს განეკუთვნება.

6. აღინიშნოს სკოლამდელი დაწესებულებების ახალგაზრდა პედაგოგიურ კადრებთან სიღნაღის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობა. განათლების განყოფილების გამგე ამხ. რ. ბეჟაშვილი მკაცრად იქნეს გაფრთხილებული, მიიღოს რადიკალური ზომები კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

7. რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტთა მომზადების, დანიშვნის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დადებითი გამოც-



დიღების განხორციელების მიმართებით სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა ჩაითვალოს არასაკმარისად.

8. ამ გადაწყვეტილების მასალები გამოქვეყნდეს ვაზეთ „სახალხო განათლებაში“.

9. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დააწესოს სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. ნ. ახოზაძე) კადრების სამმართველოსთან ერთად (ამხ. ვ. ლასხიშვილი), მათვე ინფორმაცია გადაწყვეტილების შესრულებაზე წარმოადგინონ 1988 წლის II კვარტალში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. შახაძე

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში
ხელმძღვანელი მუშაკების არჩევნების შესახებ

27 მარტი 1987 წელი

სკკბ იანვრის პლენუმმა მოითხოვა მუშაობის ახლებურად გარდაქმნა მზარდი დემოკრატიის პირობებში. პარტიის ეს მოწოდება რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ყველა დაწესებულებას, თითოეულ მუშაკს ეხება.

რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის მავალითზე (თბილისის მე-4, მე-60, 126-ე, 142-ე, რუსთავის მე-13, მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლები) უკვე შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგიური კოლექტივები მზად არიან დემოკრატიის პრინციპების დაცვით, სწორად გადაწყვიტონ დაწესებულების ხელმძღვანელ თანამდებობებზე რჩეულ და ღირსეულ პიროვნებათა არჩევის საკითხი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთი კანდიდატურების წამოყენებისა და არჩევის სურვილი ვაჩნდა, რომლებიც თავიანთი მონაცემებით აშკარად ვერ შეძლებენ კოლექტივის მუშაობის გარდაქმნასა და ახლებურად წარმართვას, დისციპლინისა და მომთხოვნელობის ამაღლებას. ასეთი მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იქ, სადაც სათანადო ანგარიში არ გაეწევა მოწინავე, ავტორიტეტულ თანამშრომელთა დასაბუთებულ და კომპეტენტურ აზრს.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე კანდიდატურათა საჯაროდ განხილვისა და არჩევის ინიციატივა. რჩევა მიეცეთ

სისტემის დაწესებულებათა კოლექტივებს ფართოდ დაუჭირონ მხარი ამ წამოწყებას.

2. სახალხო განათლების რაიონულმა და საქალაქო განყოფილებებმა პედაგოგიურ საზოგადოებაზე დაყრდნობით მიიღწიონ თითოეულ კოლექტივში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც გამოირიცხავს არაკომპეტენტურ, შემთხვევით პირთა კანდიდატურების ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმოყენებასა და მხარდაჭერას.

3. დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. გ. ლასხიშვილი) 2 კვირის ვადაში მოამზადოს ხელმძღვანელ მუშაკთა არჩევნების დროებითი რეკომენდაციები.

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს (ამხ. რ. დვალისვილი, ამხ. რ. ძერია) ფართოდ გააშუქონ იმ დაწესებულებათა კოლექტივების საქმიანობა, სადაც დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე მოხდა ხელმძღვანელ მუშაკთა არჩევა.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. ნ. ჩიკვილაძეს.

**კოლეგიის თავდომარე,
მინისტრი ნ. შ. შახაძე**

**განათლების სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებათა და სამეურნეო
ორგანიზაციათა 1986 წლის საფინანსო-სამეურნეო
საქმიანობის შედეგებისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
ლონისძიებათა შესახებ**

27 მარტი 1987 წელი

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. განათლების სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა 1986 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საგეგმო-საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველოების მოხსენებითი ბარათი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფმა დაწესებულებებმა:

— კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე წინილონ საეგემო-საფინანსო და ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველოების მოხსენებითი ბარათი და დასახონ ღონისძიებები 1987 წლის მაჩვენებლების განაღდებისა და სახალხო განათლების ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საეგემო დავალებათა უზრუნველსაყოფად, სახალხო განათლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხარისხობრივად მაღალ დონეზე ასაყვანად;

— ადგილებზე პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სისტემატურად იზრუნონ სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნისა და გაფართოებისათვის, საკლასო ოთახების, სკოლების გამოთვლითი მანქანებით, ლინგაფონის კაბინეტებითა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის;

— სისტემატურად იზრუნონ სკოლების იმ ინვენტარიითა და მოწყობილობებით მოსამარაგებლად, რომლებზეც გაზრდილია მოთხოვნილება განათლების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, არ დაუშვან განაცხადის გარეშე მათი სკოლებში შეტანა;

— გაატარონ ქმედითი ზომები მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ სახელმწიფო ქონების დაცვისა და მოვლა-პატრონობისადმი პასუხისმგებლობის გასაზრდელად, აღკვეთონ სკოლებში დაუშონტაჟებელი, დაუდგმელი ხელსაწყოებისა და მანქანების არსებობა მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში, უზრუნველყონ ტექნიკურ საშუალებათა და ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის განუხრელი ზრდა, სასკოლო საცდელ და დამხმარე ნაკვეთებზე მოსავლიანობის ამღღება;

— არ დაუშვან საბრუნავი საშუალებების მობილიზაცია და მატერიალურ ფსაეულობათა ზენორმატიული ნაშთები, ბანკის სესხების გადავადება და სხვ. გამოირიცხონ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები და არსებობის შემთხვევაში მიიღონ ზომები უმოკლეს დროში მათი აღმოფხვრისათვის;

— სწორად და მაქსიმალურად გამოყონ საყოველთაო სწავლების ფონდი ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსწავლეთა და აღსაზრდელთა დასახმარებლად, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

— სისტემატური ყურადღების ქვეშ იქონიონ მასწავლებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. პროფკავშირთან ერთად მიღწიონ მასწავლებლებზე დაწესებული კომუნალური მომსახურების შეღავათების მაქსიმალურად გამოყენებას. დასასვენებელ სახლებსა და



სანატორიუმებში მათთვის საგზურების გამოყოფის უზრუნველყოფისა
— განახორციელონ ეფექტური საშუალებები მოსწავლეთა და
აღსაზრდელთა კონტინგენტის გვეგების შესრულების, მოსწავლეთა
რაოდენობისა და კლასების პროპორციული განვითარებისათვის. მი-
აღწიონ ხელფასის ფონდის სწორად და რაციონალურად ხარჯვას;

— დაგმონ ზედმეტი შტატების გამოყოფის მოთხოვნისადმი მი-
დრეკილების მანვე პრაქტიკა; მტკიცედ იხელმძღვანელონ დამტკიცე-
ბული ტიპური შტატებით და არ დაუშვან დაწესებულებებში და ორ-
განიზაციებში ზედმეტი შტატების არსებობა, განსაკუთრებული ყუ-
რადღება მიაქციონ ლაბორანტების, მეთოდისტებისა და ლოგოპედე-
ბის საშტატო ერთეულების რიცხოვნობას, თითოეული ორგანიზაციის
მიხედვით მტკიცედ დაიცვან დამტკიცებული ნორმატივები.

2. განათლების სისტემის სამშენებლო ორგანიზაციებმა, სარე-
მონტო, სამეურნეო ჯგუფებმა უზრუნველყონ რიტმული და ხარისხი-
ანი მუშაობა, არ დაუშვან მასალებისა და საწვავის ზენორმატიული ნაშ-
თების არსებობა; დაამკვიდრონ ეკონომიური და ყაირათიანი ხარჯვა;

— მიაღწიონ კაპიტალური მშენებლობისა და რემონტისათვის გა-
მოყოფილი სახსრების მაქსიმალურ ათვისებას და ძირითადი ფონდე-
ბის ამოქმედებას, უზრუნველყონ სახელმწიფო გვეგებისა და ბიუჯე-
ტის წინაშე ვალდებულებების უცილობელი შესრულება.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სარემონტო-სამშენებლო სამმარ-
თველოს, საპროექტო კანტორის, მომარაგება-გასაღების მთავარი სამ-
მართველოს უფროსები ი. იტრიაშვილი, კ. ძლიერიშვილი და თ. ქი-
ქოძე დათხოვნილი არიან სისტემიდან.

3. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის (ამხ. თ. ტატიშვილი),
სკოლების (ამხ. ე. ქურციკიძე), სკოლამდელი აღზრდის (ამხ. ნ. ახო-
ზაძე), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. ვ. ვარდო-
სანიძე), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხ. მ. მნათობიშვილი)
სამმართველოებმა, საგვეგმო-საფინანსო (ამხ. ფ. კავთიაშვილი)
სამმართველოსთან ერთად უხელმძღვანელონ საშტატო დისციპლინის
დაცვის საქმეს და უზრუნველყონ განათლების ორგანიზაციებსა და და-
წესებულებებში მისი განუხრელად შესრულება.

4. სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებათა უფრო-
სებმა მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრამდე:

— მოაშხადონ წინადადებები მცირეკომპლექტიანი კლასების მაქ-
სიმალურად შესამცირებლად, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის ერთი
კლასის მოსწავლეთა კონტინგენტით დატვირთვის მაჩვენებელს;

— შეიმუშაონ და წარმოადგინონ მოსაზრებები იმ მცირეკონტინ-
გენტის განხარგრძობის სწავლების ჯგუფების სკოლა-ინტერნა-
ტებისა და ინტერნატების შექმნის-გაუქმებისათვის, სადაც არ არ-

სებობს მატერიალური ბაზა და არ არის უზრუნველყოფილი საჭირო პირობები.

5. აღმზრდელობითი მუშაობის (ამხ. ე. ზარქუა), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხ. მ. მნათობიშვილი) სამმართველოებმა საგვეგმო-საფინანსო (ამხ. ფ. კავთიაშვილი) სამმართველოსთან ერთად ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს მტკიცედ დაიცვან სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა და არ დაუშვან ზედმეტი თანხების ხარჯვა.

6. საგვეგმო-საფინანსო (ამხ. ფ. კავთიაშვილი) სამმართველომ:

— მტკიცედ იხელმძღვანელოს სახარჯთაღრიცხვო ორგანოების მიერ დამტკიცებული დებულებებით და მიაღწიოს თითოეული მანეთის მიზნობრივ და ყაირათიან ხარჯვას; მკაცრი კონტროლის დაწესებით აღკვეთოს სისტემაში ზედმეტი საშუალო ერთეულები;

— სტატისტიკური ანგარიშების შედგენის დროს მიღებული შედეგები გახადოს სახალხო განათლების სისტემის მსჯელობის საგნად და სამინისტროს სამმართველოებთან ერთად წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად;

— შესაბამის სამმართველოებთან ერთად უზრუნველყოს სახელმწიფო ვეგმისა და დავალებების უდავო შესრულება;

— 1987 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით კოლეგიაზე შემოიტანოს განათლების იმ განყოფილებათა გამგეების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც არ ასრულებენ გეგმიურ დავალებებს და უკან სწევენ რესპუბლიკის სახალხო განათლების ძირითად მაჩვენებლებს;

— ინფორმაცია რესპუბლიკის განათლების სისტემის ორგანიზაციების და დაწესებულებების 1986 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ გამოქვეყნდეს ვაზეთ „სახალხო განათლებაში“.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. გ. ნ. გორგოშიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ჭურთი მრსწავლებლებთან და მათ შრომლებთან იდუშრ-ალმზრდმოლოზნიტი

მუშაოლის ზაქლიერბის ლონისიბიბათა შისახიბ

10 აბრილი 1987 წელი

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ჭურთი მოსწავლეების სწავლებისა და აღზრდის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, რის შედეგადაც ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონე, იმატა ე. წ. „კარგოსანთა“ და „ფრიადოსანთა“ რიცხვმა. ვაიზარდა სკოლა-ინტერნატებში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა. მათი მესამედი ვათავისუფლდა კვებისა და შენახვის გადასახადებისაგან, მომავალში ვათვალისწინებულა გადასახადებისაგან ვათავისუფლდეს ჭურთი ბავშვების 50 პროცენტი. სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ჭურთ ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას, სისტემატურად სწავლობენ მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, ანორციელებენ ლონისიბიბებს მათი გაუმჯობესებისათვის; რეგულარულად ხედებიან მოსწავლეთა მშობლებს, ატარებენ მათთან ახსნა-ვანმარტებით საუბრებს, ლექციებს ათეისტურ და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ამასთან, ჭურთ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობას არა აქვს სისტემატური, მიზანსწრაფული ხასიათი; ძალზე დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; სკოლიდან განთესილთა საერთო რაოდენობის 70 პროცენტამდე ჭურთ ბავშვებზე მოდის. არ არის მჭიდრო, საქმიანი კონტაქტი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და ჭურთ მოსწავლეთა მშობლებს შორის, მტკიცე, თანმიმდევრული ბრძოლა არ წარმოებს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის, სკოლიდან განთესვის, სასკოლო ასაკში მოსწავლე ვოგონების ვათხოვების წინააღმდეგ. არ მიმდინარეობს გეგმაზომიერი, თანამიმდევრული მუშაობა ჭურთი მშობლების პედაგოგიზაციის, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონის ამაღლებისათვის. სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა ატარებს შემთხვევით, ეპიზოდურ ხასიათს.

ჭურთ მოსწავლეთა და მათ მშობლებთან სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ჭურთი ეროვნების მოსწავლეებთან და მშობლებთან მუშაობის პერსპექტიული გეგმა (თან ერთვის).
2. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის სახალხო

განათლების სამმართველომ, ქ. რუსთავის, თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა:

2. 1. შეიმუშაონ და განახორციელონ ქუროს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობის კონკრეტული ღონისძიებები.

2. 2. რაიონში (ქალაქში) შეარჩიონ ქუროს მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან მეთოდური და სხვა სახის მუშაობის საყრდენი სკოლა.

2. 3. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის, ალკ და ზიონერული ორგანიზაციების საქმიანობაში ფართოდ ჩააბან ქუროსი ეროვნების მოსწავლეები. აქტიური მონაწილეობა მიიღებინონ კულტურულ-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებებში.

2. 4. სისტემატური კონტროლი დააწესონ ქუროსი მოსწავლეების ყოველდღიურ მეცადინეობაზე. პერიოდულად შეისწავლონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულ აღსაზრდელებზე.

2. 5. უზრუნველყონ სკოლები ქუროსული ენის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით. თვალსაჩინო-დიდაქტიური მასალებით.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე), აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. კ. სუჯაშვილი) ა. წ. 15 მისამდე შეიმუშაონ წინადადებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ქუროს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან პედაგოგიური მუშაობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ. მანვე გაუწიოს კონტროლი და ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა აღნიშნულ საბჭოს.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. გ. ლასხიშვილი) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად (ამხ. ვ. ყვანია), დაადგინოს ქუროსული ენის მასწავლებელთა საჭიროება ადგილობრივი შოთხოვნილების შესაბამისად და უზრუნველყოს მათი დროული გადამზადება.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. რ. დვალიშვილი), ყურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გააშუქონ ქუროს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობის საკითხები.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის პირველი მოადგილე **ლ. ი. ბაგუა**

ქუთთი ეროვნების მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობის
 პერსპექტიული გეგმა

№	შესასრულებელი საკითხები	შემსრულებელი	შესრულების დრო	შენიშვნა
1	2	3	4	5
I				
ორგანიზაციული საკითხები				
1	ქუთთ მოსახლეობასთან პედაგოგიური მუშაობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შექმნა.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო	1987 წლის მაისი	
2	ქუთთი მოსახლეობის დისლოკაციის დადგენა ქალაქებსა და რაიონებში, სკოლებში მოსწავლე ქუთთი ბავშვების რაოდენობისა და აკადემიური წარმატების თაობაზე სტატისტიკური ცნობების შედგენა.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების ადგილობრივი ორგანოები	1987 წლის მაისი	
3	ქუთთი მშობლების შრომითი საქმიანობისა და განათლების ცენტრის დადგენა.	განათლების ადგილობრივი ორგანოები	1987 წლის მაისი	
4	საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელთა მივლინება ქალაქ ერევანში ქუთთ მოსწავლეებთან და მშობლებთან მუშაობის გამოცდილების შესწავლის მიზნით.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსთან ერთად	1987 წლის აპრილი-მაისი	
5	სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაბმული 5 წლის ასაკის ქუთთი ბავშვების სკოლისათვის მომზადების მუშაობის ორგანიზება.	ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, განათლების განყოფილებაში	სისტემატურად	

F5497



1	2	3	4	
	II			
	სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა			
1	სწავლებაში ქურთი ბავშვების ჩაბმის მდგომარეობის შემოწმება და სკოლიდან მათი განთავსების წინააღმდეგ ღონისძიებათა განხორციელება.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო		
2	კლასის საერთო მომზადების დონესთან ქურთი მოსწავლეების ცოდნის გათანაბრების მიზნით მათთან დამატებითი ინდივიდუალური შეცადინებების ორგანიზება.	ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, განათლების განყოფილებები	სისტემატურად	
3	სკოლებში, სადაც ქურთი ბავშვების სიკარბა, ქურთული ენის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; VIII, IX, X კლასებში — ფაქტობრივი შეცადინების ორგანიზება.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები	1987—1988 სასწავლო წლიდან	
4	სკოლებში ქურთ მოსწავლეებთან და მათ შრომლებთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება.	სკოლები, სახალხო განათლების განყოფილებები	1987 წლის მაის-ივნისი	
5	თითოეული ქურთი მოსწავლის დახმარების საფუძველზე მათი ინტელექტუალური ღონის ამაღლების მიზნით ინდივიდუალური მუშაობის რეკომენდაციების შემუშავება.	რაიონული, საქალაქო მეთოდკომიტეები, სკოლები	1987 წლის სექტემბრიდან ყოველწლიურად	

ბაქ. სსრ კ. მარჯაოს
 სახ. სახ. რესპუბ.
 ბიბლიოთეკა

1	2	3	4
6	<p>თითოეული ქვერთი მოსწავლის სკოლისგარეშე საქმიანობის რეგიმის შედგენა მათი ოჯახური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის საფუძველზე. სისტემატური კონტროლის დაწესება ამ რეგიმის შესრულებაზე.</p>	<p>განათლების განყოფილება, სკოლა</p>	<p>სისტემატურად</p>
7	<p>სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობაში ქვერთ მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმის უზრუნველყოფა. კონტროლის დაწესება მათ მიერ მხატვრული ლიტერატურის გამოყენებაზე.</p>	<p>სკოლები</p>	<p>სისტემატურად</p>
8	<p>საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში ქვერთ მოსწავლეთა ჩაბმა.</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების განყოფილებები, სკოლები</p>	<p>ყოველწლიურად</p>
9	<p>ქვერთი მოსწავლეების სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობის შესწავლა ქ. თბილისის, რუსთავის, ბათუმისა და თელავის რაიონის სკოლებში.</p>	<p>სახალხო განათლების აღიარებული ორგანოები</p>	<p>1987—1988 სასწავლო წელი</p>
10	<p>ქვერთ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გაძლიერების მიზნით მათთვის მიზნობრივი ექსკურსიების მოწყობა სამრეწველო საწარმოებში. შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან.</p>	<p>სახალხო განათლების განყოფილებები</p>	<p>სისტემატურად</p>
11	<p>ქვერთი მოსწავლეების ჩაბმა ინტერესების მიხედვით: — ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურა-</p>	<p>სახალხო განათლების განყოფილებები. შესაბამის სადგურებთან და პიონერთა</p>	<p>1987—1988 სასწავლო წლიდან</p>



1	2	3	4
	<p>ლისტა, ნორჩ ტურისტა, პიონერთა და მოსწავლეთა სახლების, სასახლეების წრეებში.</p>	<p>სახლებთან (სასახლეებთან) ერთად.</p>	
12	<p>ქვრთ მოსწავლეებთან და მათ შვობ- ლებთან მუშაობის მდგომარეობის გან- ხილვა განათლების საბჭოების სხდომებზე.</p>	<p>საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სახალხო განათლების განყოფილებები</p>	<p>პერიოდულად</p>
13	<p>ქვრთ მოსწავლეებთან საუბრების ციკლის ჩატარება ათვისტურ თემებზე.</p>	<p>სკოლები, სახალხო განათლების განყოფილებები</p>	<p>სისტემატურად</p>
<p>III. კულტმასობრივი მუშაობა</p>			
1	<p>ქვრთი მოსწავლეების ჩაბმა მხატვრული ავითმოქმედების წრეებში მათი ინტერესებისა და გატაცების გათვალისწინებით.</p>	<p>სახალხო განათლების განყოფილებები</p>	<p>სისტემატურად</p>
2	<p>საყრდენ სკოლებში ქვრთული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ჩამოყალიბება.</p>	<p>სახალხო განათლების განყოფილებები</p>	<p>1967—1988 სასწავლო წლიდან</p>
3	<p>ქვრთი მოსწავლეების მხატვრული ნამუშევრების გამოფენის მოწყობა.</p>	<p>საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბაჟეტითა სამხატვრო გალერეა</p>	<p>1967 წლის სექტემბერი</p>

1	2	3	4	
IV.				
ქუთ მასწავლებლებთან მუშაობა				
1	<p>ქუთული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება მასწავლებელთა დახელოვნების თბილისისა და ცენტრალური ინსტიტუტების ბაზაზე ან მათი გაგზავნა კურსების გასაყვლად ქ. ერევანში.</p>	<p>მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი</p>	1987 წლის ივნისი	
2	<p>ქუთი მასწავლებლების შეხვედრა ქ. თბილისის მოწინავე მასწავლებლებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.</p>	<p>ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო</p>	1987 წლის ოქტომბერი	
3	<p>ქუთი მასწავლებლების შეხვედრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტების ქუთ სტუდენტობასთან.</p>	<p>განათლების განყოფილებები, საქართველოს სსრ განარლების სამინისტრო, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო</p>	პერიოდულად	
V.				
ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა				
1	<p>რესპუბლიკურ შეჯიბრებებში — „მზიარული სტარტები“ ქუთი მოსწავლეების მასობრივად ჩაბმა.</p>	<p>სახალხო განათლების განყოფილებები</p>	სისტემატურად	

1	2	3	4
2	ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში ქურთი მოსწავლე სპორტსმენების მასობრივად ჩაბმა.	სახალხო განათლების განყოფილებები	1987—1988 სასწავლო წლიდან
3	ქურთი მოსწავლეების ფართოდ ჩაბმა სხვადასხვა სპორტულ სექციებში.	სახალხო განათლების განყოფილებები	სისტემატურად
4	შრომით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში ქურთი მოსწავლეების ჩაბმის უზრუნველყოფა.	ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, განათლების განყოფილებები	სისტემატურად
5	ცნობილ სპორტსმენებთან ქურთი მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზება.	ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, განათლების განყოფილებები	სისტემატურად
VI.			
მშობლებთან მუშაობა			
1	საკლასო და სასკოლო მშობელთა კონტაქტების საქმიანობაში ქურთ მოსწავლეთა მშობლების აქტიურად ჩაბმა.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	სისტემატურად
2	მშობელთა პედაგოგიური სახალხო უნივერსიტეტების მუშაობაში ქურთი მშობლების მოზიდვა მათი ფართო პედაგოგიზაციის მიზნით.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	სისტემატურად

1	2	3	4	
3	სკოლის პედაგოგიური კოლექტივების შეხვედრა-საუბრების მოწყობა მიკრორაიონის ქუჩით მცხოვრებლებთან.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	სისტემატურად	
4	ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრების მოწყობა ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ურთიერთდაახლოების მიზნით.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	სისტემატურად	
5	ლექციების ციკლის ჩატარება ქუჩით მოსახლეობაში ბავშვთა და საყოფაცხოვრებო პიკეტაჟის მნიშვნელოვან საკითხებზე.			
6	მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების კოლექტიური ნახვა-განხილვა.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	პერიოდულად	
7	საუბრების, ლექციების ციკლის ჩატარება ათვისტურ თემებზე, ძველ, მავნე ზნე-ჩვეულებებზე.	სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები	სისტემატურად	

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები

სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, წამატების, თვალის
ახშივინსა და უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრის,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში
საბუღალტრო აღრიცხვის საკონტროლო ფუნქციების
ბაჟლირების ამოცანების შესახებ

18 მაისი 1987 წელი, № 181

განათლების სამინისტროს მიერ წამატების, თვალის ახვივის, უშრომელი შემოსავლის აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად სასურველ შედეგებს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. კერძოდ, 1986 წელს ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად გამოვლინდა არასწორი და უკანონო ხარჯები 628 ათასი მანეთის ოდენობით, რაც განპირობებული იყო საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინისა და შეთავსებით მუშაობის მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, გურჯაანის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში, აგრეთვე რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

გარდა ამისა, დადგენილია კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებით წამატებისა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიერ მატერიალური ფასეულობების შენახვისა და გამოყენების მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბუღალტრო აღრიცხვის მუშაობაში, განსაკუთრებით კი მის საკონტროლო ფუნქციებში, რიგი ნაკლოვანებები გამოავლინა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატმა, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ხელმძღვანელობენ რა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის მიმდინარე წლის 20 მარტის შეკრების მასალებით, რომელიც სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, წარმატებისა და თვალის ახვივის აღმოფხვრის, ასევე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შუქზე უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხება, უნდა განახორციელონ არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოწვევი მიზეზებისა და პირობების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის სსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილების გამგემ, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა:

1. 1. შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ზომები წამატების, თვალის ახვევის, აგრეთვე უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

1. 2. დააწესონ ზომები და ეფექტური კონტროლი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, მიიღონ დასჯის ყველაზე მკაცრი ზომები იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ სახელმწიფო საფინანსო დისციპლინას და არ იღებენ საჭირო ზომებს უყაირათობისა და ზედმეტობის, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სხვა დანაშაულობების გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რაც უშრომელი შემოსავლის, წამატებისა და თვალის ახვევის წყაროდ იქცევა ხოლმე.

1. 3. უზრუნველყონ თან დართული ღონისძიებების დადგენილ ვადებში შესრულება.

2. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველომ (ამხ. გ. გურეშიძე):

2. 1. თავიდან აიცილოს ცნობაში აღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებები და ორგანიზაცია გაუკეთოს ერთობლივ ბუღალტრულ აღრიცხვასა და კონტროლს ისეთ დონეზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების რაციონალურ და დანიშნულებისამებრ ეფექტურ გამოყენებას.

2. 2. მიმდინარე წლის IV კვარტალში შეამოწმოს ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა და აუცილებლობის შემთხვევაში მოამზადოს საკითხი კოლეგიაზე გასატანად.

3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. გ. ნ. გორგოშიძეს.

მინისტრი ნ. შ. პასაძე

ლონისძიებები

სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცების,
წამატებისა და თვალის ახვევის აღმოფხვრის. აგრეთვე
უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების
შესახებ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის
კრების რეზოლუციის შესასრულებლად

№	ლონისძიება	შესრულების დრო	შემსრულებელი
1	2	3	4
1	<p>ყველა საბუღალტრო სამსახურ- მა უზრუნველყოს სახელმწიფო თანხების გამოყენების აღრიცხვი- სა და კონტროლის მათზე დაკის- რებული მოვალეობები. ამ მიზნით ბუღალტრული აღრიცხვა მოიყვან- ოს მკაცრ შესაბამისობაში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1973 წლის 27 დეკემბრის № 323 ინსტრუქციასთან.</p>	<p>1987 წლის 1-ლ აგ- ვისტომდე</p>	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინის- ტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონე- ბისა და ქალაქების სახალ- ხო განათლების განყოფი- ლებები, თბილისისა და ქუ- თაისის სახალხო განათლე- ბის განყოფილებები, რეს- პუბლიკურ ბიუჯეტზე მყო- ფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
2	<p>ორგანიზებულ იქნეს ჭონდრი- მატერიალურ ფასეულობათა აღ- რიცხვა და შენახვა თანამედროვე მეთოდებითაა შეუქმნეს მატერია- ლურად პასუხისმგებელ პირთა შერჩევა და ინსტრუქტაჟი. დაწეს- დეს მიღების, შევსების, მატე- რიალურ ფასეულობათა ფაქტობ- რივი ოდენობის შენახვა და შემო- წმების საჭირო წესრიგი და და- ყვანილ იქნას იგი პასუხისმგებელ პირამდე წერილობითი სამხსოვ- როებით, ინსტრუქციებითა და გან- კარგულებებით.</p>	<p>1987 წლის 1-ლ ივ- ლისამდე</p>	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინის- ტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონე- ბისა და ქალაქების სახალ- ხო განათლების განყოფი- ლებები, თბილისისა და ქუ- თაისის სახალხო განათლე- ბის განყოფილებები, რეს- პუბლიკურ ბიუჯეტზე მყო- ფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
3	<p>მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ზომა ჭონდრი-მატერიალურ ფა- სეულობათა და ფულად საშუალე- ბათა ინვენტარიზაციის ჩატარების დადგენილი წესების მკაცრი და- ცვის უზრუნველსაყოფად. ინვენ- ტარიზაციის ჩატარების დროს ფა-</p>	<p>1987 წლის 1-ლ დე- კემბრამდე</p>	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინის- ტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონე- ბისა და ქალაქების სახალ- ხო განათლების განყოფი- ლებები, თბილისისა და ქუ-</p>



1	2	3	4
	<p>სეულობათა ფაქტობრივი ოდენობა განისაზღვროს აუცილებელი თვლით, აწონით, გაზომვით და ა. შ. ინვენტარიზაციის ჩატარების დროს მკაცრად იქნეს დაცული დადგენილი პერიოდულობა, ინვენტარიზაციის შემოწმებისა და შედეგების გაფორმების, საინვენტარიზაციო სხვაობის რეგულირების მოქმედი განაწესით.</p>		<p>თაისის სახალხო განათლების განყოფილებები, რესპუბლიკური ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
4	<p>გამლიერდეს მუშაობა დანაჯარგების, სასკოლო დანადგარების, სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების არამწარმოებლური გამოყენების თავიდან ასაცილებლად. გამლიერდეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა ყველა მატერიალური ფასეულობის შენახვასა და სწორ გამოყენებაზე.</p>	მუდმივად	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებები, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
5	<p>სისტემატურად ჩატარდეს მოულოდნელი შერჩევითი შემოწმებები მატერიალურ თასეულობა ფაქტობრივი ოდენობის. შემოსულ დოკუმენტებში აღნიშნული ოპერაციების ურყუარობის დასადგენად. აგრეთვე ჩატარდეს ვაანგარიშების საპასუხო შემოწმებები სხვა ორგანიზაციების მიერ.</p>	მუდმივად	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებები, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
6	<p>მუდმივად ჩატარდეს მუშაობა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ოპერატიული აღრიცხვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.</p>	მუდმივად	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებები, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>

1	2	3	4
7	<p>განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელფასის გამოანგარიშებასთან, გადარიცხვასა და გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეთავსების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.</p>	<p>მუდმივად</p>	<p>აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებები, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</p>
